



]

# საქართველო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 374  
14/02/2017

374-01-4-201702141633



„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 9 მარტის №655 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე,ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 9 მარტის №655 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 3.

1. საბჭო შედგება 20 (ოცი) წევრისაგან.
2. საბჭოს თავმჯდომარეა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
3. საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც არის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი.
4. საბჭოს შემადგენლობაში თავმჯდომარისა და მოადგილის გარდა, შედიან:
  - ა) ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.
  - ბ) ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი.
  - გ) საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის უფროსი.
  - დ) არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.
  - ე) საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი.
  - ვ) ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი.
  - ზ) სამხედრო სამსახურის უფროსი.
  - თ) კულტურის, სპორტის, განათლების, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი.
  - ი) ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.
  - კ) შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:
    - კ.ა.) ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი,
    - კ.ბ.) განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“,
    - კ.გ.) თანაბარი ჩართულობის ცენტრი,
    - კ.დ.) ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი „ნაია“,
    - კ.ე.) World Vision International,
    - კ.ვ.) შშმ პირთა იმერეთის რეგიონული ორგანიზაცია „სრულფასოვანი ცხოვრებისათვის“.

5. საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები საბჭოში თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

6. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი, რომელსაც დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს საბჭო.

7. საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტი, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.


8. საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია პირადი განცხადება ან/და წინამდებარე დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.“

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალეზ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ნოდარ მიქიაშვილი



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი